| III | 15001 roundap – 30000 | 1245 | 1575 | F=1245+(roundapVesselGT-15100)*0.022148 |
| IV | 30001 roundap – 45000 | 1595 | 2015 | F=1595+(roundapVesselGT-30100)*0.0281879 |
| V | 45001 roundap – 60000 | 2030 | 2275 | F=2030+(roundapVesselGT-45100)*0.01644292 |
| VI | 60001 roundap – ≥ | 2450 | | 2450 |

ჰ$^{61}$) ძებნა-გადარჩენის სისტემაში მონაწილეობის საფასური, გარდა ამ მუხლის „ჰ64“, „ჰ67“, „ჰ68“, და „ჰ72“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა – 350 ლარი;

ჰ$^{62}$) საქართველოს ნავსადგურში გარე რეიდზე ღუზაზე დგომის დღიური საფასური (მიუხედავად დღე-ღამის განმავლობაში ღუზაზე დგომის ხანგრძლივობისა):
500 – 1000 GT – 130 ლარი;
1001- 5000 GT – 180 ლარი;
5001-15000 GT – 350 ლარი;
15001 და < GT – 440 ლარი.

ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება გემებზე, რომელთა საერთო ტევადობაც არის 500 GT-ზე ნაკლები, დაპატიმრებულ და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ გემებზე, ასევე ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე ღუზაზე მდგომ ნებისმიერი ტიპის გემზე. აღნიშნული საფასური შეეხება 500 საერთო ტევადობაზე (GT) მეტ ყველა იმ გემს, რომელიც მოვიდა და დადგა ნავსადგურის გარე რეიდზე ღუზაზე 24 საათზე მეტი ხნით, იმ პირობით, რომ გემის დანიშნულების ნავსადგურია საქართველოს ნავსადგური, მაგრამ, ამა თუ იმ მიზეზების გამო ნავსადგურში არ შემოვიდა სატვირთო ოპერაციების ჩატარების მიზნით, აგრეთვე, გემს რომელმაც დაასრულა ნავსადგურში შესაბამისი ოპერაციები და ამა თუ იმ მიზეზის გამო საჭიროებს ნავსადგურის გარე რეიდზე ღუზაზე 24 საათზე მეტი ხნით დგომას. საქართველოს ნავსადგურებში შემოსული სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი სამგზავრო გემები გადაიხდიან ამ ქვეპუნქტში მითითებული საფასურის 20%-ს.

ჰ$^{63}$) 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები გემების, გარდა თევზსაჭერი გემებისა, ნავსადგურში შესვლა/გასვლის 30 დღიანი საშვის გაცემა – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 150 ლარი;

შენიშვნა: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები იახტების, მოტონავების, კატარღების საქართველოს ნავსადგურში ყოველი შესვლა/გასვლის მომსახურების საფასური – 50 ლარი;

ჰ$^{64}$) 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები გემისათვის თვიური საფასური თუ სარგებლობს ძებნა-გადარჩენის სისტემის მომსახურებით – 80 ლარი;

შენიშვნა: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები იახტების, მოტონავების, კატარღების ძებნა-გადარჩენის სისტემაში ყოველი შესვლის მომსახურების საფასური – 25 ლარი;

ჰ$^{65}$) 180 საერთო ტევადობაზე (GT) მეტი თევზსაჭერი გემების ნავსადგურში შესვლა/გასვლის 30 დღიანი საშვის გაცემა – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 330 ლარი;

ჰ$^{66}$) 180 და 180 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები თევზსაჭერი გემების ნავსადგურში შესვლა/გასვლის 30 დღიანი საშვის გაცემა –კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 80 ლარი;

ჰ$^{67}$) ძებნა-გადარჩენის სისტემაში 180 და მეტ საერთო ტევადობაზე (GT) თევზსარეწი და თევზსაჭერი გემის მონაწილეობის 30 დღიანი საფასური – 240 ლარი;

შენიშვნა: გემი ძებნა-გადარჩენის სისტემაში მონაწილეობის საფასურს გადაიხდის ყოველი 30 დღის გასვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა დატოვა თუ არა საქართველოს ტერიტორიული წყლები;

ჳ[68]) ძებნა-გადარჩენის სისტემაში 180 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები თევზსარეწი და თევზსაჭერი გემების მონაწილეობის 30 დღიანი საფასური – 80 ლარი;

შენიშვნა: გემი ძებნა-გადარჩენის სისტემაში მონაწილეობის საფასურს გადაიხდის ყოველი 30 დღის გასვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა დატოვა თუ არა საქართველოს ტერიტორიული წყლები;

ჳ[69]) იმ თევზსარეწი გემის ნავსადგურში შესვლა/გასვლის 30–დღიანი საშვის გაცემა, რომელიც არ ეწევა თევზჭერას და არ ტოვებს საქართველოს სანაპირო წყლებს – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 160 ლარი;

ჳ[70]) საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი შიდა ნაოსნობის იმ თევზსაჭერი/თევზსარეწი გემის ყოველწლიური შემოწმება კონვენციურ და არაკონვენციურ სერტიფიკატებთან/მოწმობებთან რომელთა საერთო ტევადობა (GT) 150–ზე მეტია, ხოლო სიგრძე აღემატება 24 მეტრს – 80 ლარი;

ჳ[71]) იმ სატრანსპორტო გემის ნავსადგურში ყოველი შესვლა/გასვლა, რომელიც ეწევა თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში:

ა) 100 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 160 ლარი;

ბ) 100 და მეტ საერთო ტევადობის (GT) გემისთვის – 280 ლარი;

ჳ[72]) ძებნა-გადარჩენის სისტემაში ყოველ შემოსვლაზე მონაწილეობის საფასური სხვა სახელმწიფო დროშით მცურავი სატრანსპორტო გემებისათვის, რომლებიც ეწევიან თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ:

ა) 100 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 80 ლარი;

ბ) 100 და მეტ საერთო ტევადობაზე (GT) გემისთვის – 150 ლარი;

ჳ[73]) საზღვაო–საწვრთნელი დაწესებულების აღიარება:

განაცხადის შეტანის 21-დან 40 დღის განმავლობაში – 7000 ლარი;

განაცხადის შეტანის 15-დან 20 დღის განმავლობაში – 8700 ლარი;

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 2600 ლარი;

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან მე–15 დღეს – 4400 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 4400 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან მე-15 დღეს – 6100 ლარი.

ჳ[74]) მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზღვაო საწვრთნელი კურსის/პროგრამის აღიარება:

განცხადების შეტანიდან 16-დან 20 სამუშაო დღის განმავლობაში – 350 ლარი;

განცხადების შეტანიდან 10-დან 15 სამუშაო დღის განმავლობაში – 700 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან 10 დღის განმავლობაში – 170 ლარი;

აღიარების სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში – 260 ლარი.

**შენიშვნა:** ოცი დღის განმავლობაში შესაძლებელია განაცხადის შემოტანა არაუმეტეს ხუთი სასწავლო-საწვრთნელი კურსის/პროგრამის აღიარებაზე.

ჳ[75]) სამედიცინო დაწესებულების შერჩევის მომსახურება:

განაცხადის შეტანის 21-დან 40 დღის განმავლობაში – 3000 ლარი;

განაცხადის შეტანის 15-დან 20 დღის განმავლობაში – 3500 ლარი.

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 100 ლარი;

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან მე-15 დღეს – 150 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 500 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან მე-15 დღეს – 700 ლარი;

ჳ[76]) შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მონიტორინგის საფასური წლიურად – 1000 ლარი; საფასურის გადახდა წარმოებს შერჩევიდან პირველი წლის გასვლისთანავე ყოველწლიურად შემდეგი 4 წლის განმავლობაში;

ჳ[77]) უფლებამოსილი ექიმის შერჩევის მომსახურება:

განცხადების წარდგენიდან 30-45 დღის განმავლობაში – 500 ლარი;

განცხადების წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში – 800 ლარი;

ჳ[78]) საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა აღიარება, აღიარების სერტიფიკატის გაცემა:

განაცხადის შეტანის 21-დან 40 დღის განმავლობაში – 500 ლარი;

განაცხადის შეტანის 15-დან 20 დღის განმავლობაში – 700 ლარი;

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 100 ლარი;

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან მე-15 დღეს – 150 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს – 500 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან მე-15 დღეს – 700 ლარი.

ჳ[79]) საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა ყოველწლიური მონიტორინგის და ზედამხედველობის საფასური – 100 ლარი;

ჳ[80]) ნავსადგურის უშიშროების გეგმების დამტკიცება – შესაბამისი ISPS სერთიფიკატის გაცემა 5 წლის ვადით – 5,000 ლარი;

ჳ[81]) ნავსადგურის უშიშროების ყოველწლიური შემოწმება და უშიშროების გეგმის შესაბამისი დამოწმება – ნავსადგურში არსებული ნავმისადგომების რაოდენობის შესაბამისად, ყოველ ნავმისადგომზე – 100 ლარი;

ჳ[82]) სალოცმანო სამსახურის სერტიფიკატით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე უწყვეტი მონიტორინგი ყოველი გემისათვის, რომელსაც სალოცმანო სამსახურმა გაუწია მომსახურება:

100-1000 GT – 60 ლარი;

1001-5000 GT – 90 ლარი;

5001-15000 GT – 260 ლარი;

15001< GT – 780 ლარი.

ჳ[83]) საქართველოს ნავსადგურში შემოსული გემებისათვის სახელმწიფო ლოცმანის მიერ სავალდებულო სალოცმანო გაცილების მომსახურების საფასური:

გემის პარამეტრები (სიგრძე X სიგანე X სიმაღლე) X 0,05 ლარი;

ჳ[84]) საქართველოს ნავსადგურში ყოველი შესვლა/გასვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემებით მომსახურების საფასური 1 GT-ზე ყველა ტიპის გემისთვის, გარდა თევზსაჭერი, თევზსარეწი და თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის სატრანსპორტო გემებისა – 0.15 ლარი .

შენიშვნა: სამხედრო გემები, აგრეთვე გემები, რომლებიც საქართველოს ნავსადგურებში შემოდიან ნავსადგურებისთვის სანავსადგურე ინფრასტრუქტურაზე საჭირო სამუშაოების შესასრულებლად გათავისუფლდებიან ამ ქვეპუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან. საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად დანიშნული სახაზო გემებისთვის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის განაკვეთი შემცირდება 20%-ით .

ჳ[85]) შიდა ნაოსნობის გემების წიგნში დარეგისტრირებული 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემის სახომალდო რადიოსადგურის მოწმობის გაცემა – 260 ლარი.

ჳ[86]) შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 და მეტი საერთო ტევადობის გემისთვის საგამონაკლისო (Exemption) დოკუმენტის გაცემა – 300 ლარი;

ჳ[87]) 100 საერთო ტევადობამდე (GT) გემებისათვის საგამონაკლისო (Exemption) დოკუმენტის გაცემა – 100 ლარი.

ჳ[88]) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, დასვენებისა და უქმე დღეებში გემის განმეორებითი შემოწმება ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის მიერ – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 2000 ლარი;

ჳ[89]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში რეგისტრირებული 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები გემებისათვის მოწმობის/დოკუმენტების დამოწმებული ასლის გაცემა – 15 ლარი.

ჳ[90]) საზღვაო კოდექსის მე-40 მუხლის მე-4 ან/და მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ნებართვის გაცემა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებისათვის:

3-დან 10 დღის განმავლობაში – 20 ლარი;

11-დან 20 დღის განმავლობაში – 10 ლარი.

ჳ[91]) სხვა ქვეყნის დროშის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული გემის მიმართ „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სერტიფიკატის“ გაცემა – 270 ლარი;

ჳ[92]) „საზღვაო კულინარიის“ მომზადების კურსის/პროგრამის აღიარება:

განცხადების შეტანიდან 10-დან 15 სამუშაო დღის განმავლობაში – 1000 ლარი.

2. „მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მეთევზე-მეზღვაურთა მომსახურების გაწევის სახეები, ვადები და საფასურის განაკვეთებია:

ა) 12 მეტრზე ნაკლები სიგრძის თევზსაჭერი გემის შკიპერის სერტიფიკატის გაცემა:

მე-5 სამუშაო დღეს – 15 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 20 ლარი;

24 საათის გასვლისთანავე – 30 ლარი;

იმავე დღეს – 40 ლარი;

ბ) 12 მეტრიდან 24 მეტრამდე სიგრძის თევზსაჭერი გემის შკიპერის სერტიფიკატის გაცემა:

მე-5 სამუშაო დღეს – 30 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 35 ლარი;

24 საათის გასვლისთანავე – 40 ლარი;

იმავე დღეს – 50 ლარი;

გ) 24 მეტრი ან მეტი სიგრძის თევზსაჭერი გემის შკიპერის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 40 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 45 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 55 ლარი;
იმავე დღეს – 65 ლარი;
დ) 12 მეტრიდან 24 მეტრამდე სიგრძის თევზსაჭერი გემის სავახტო თანაშემწის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 15 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 20 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 30 ლარი;
იმავე დღეს – 40 ლარი;
ე) 24 მეტრი ან მეტი სიგრძის თევზსაჭერი გემის სავახტო თანაშემწის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 25 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 35 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 45 ლარი;
იმავე დღეს – 50 ლარი;
ვ) 750 კვტ ან მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის უფროსი მექანიკოსის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 35 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 40 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 50 ლარი;
იმავე დღეს – 60 ლარი;
ზ) 750 კვტ და ნაკლები სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის უფროსი მექანიკოსის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 30 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 35 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 45 ლარი;
იმავე დღეს – 55 ლარი;
თ) 750 კვტ ან მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის სავახტო მექანიკოსის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 20 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 25 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 35 ლარი;
იმავე დღეს – 45 ლარი;
ი) 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის სავახტო მექანიკოსის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 15 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 20 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 30 ლარი;
იმავე დღეს – 40 ლარი;
კ) თევზსაჭერი გემის პირველი თანრიგის და მეორე თანრიგის ელექტროინჟინრის კომპეტენციის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 15 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 25 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 30 ლარი;
იმავე დღეს – 40 ლარი;
ლ) GMDSS რადიოოპერატორის კომპეტენციის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 25 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 30 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 40 ლარი;
იმავე დღეს – 50 ლარი;
მ) თევზსაჭერი გემის პერსონალის უსაფრთხოების საბაზისო წვრთნის სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 5 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 7 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 12 ლარი;
იმავე დღეს – 15 ლარი;
ნ) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე თევზსაჭერი გემის პერსონალის უსაფრთხოების საბაზისო წვრთნის
სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღეს – 10 ლარი;
მე-3 სამუშაო დღეს – 14 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 24 ლარი;

იმავე დღეს – 30 ლარი;
ო) მეთევზე-მეზღვაურის სერტიფიკატის აღიარების დადასტურება:
50 ლარი;
პ) მეთევზე მეზღვაურის კომპეტენციის სერტიფიკატის შემცვლელი სერტიფიკატის გაცემა:
მე-3 სამუშაო დღეს – 5 ლარი;
იმავე დღეს – 10 ლარი;
ჟ) თევზსაჭერი გემის პერსონალის უსაფრთხოების საბაზისო წვრთნის სერტიფიკატის შემცვლელი სერტიფიკატის გაცემა:
მე-3 სამუშაო დღეს – 3 ლარი;
იმავე დღეს – 5 ლარი;
რ) 750 კვტ ან მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის მეორე მექანიკოსი სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღე – 30 ლარი
მე-3 სამუშაო დღე – 35 ლარი
24 საათის გასვლისთანავე – 45 ლარი;
იმავე დღეს – 55 ლარი;
ს) 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის მეორე მექანიკოსი სერტიფიკატის გაცემა:
მე-5 სამუშაო დღე – 25 ლარი;
მე-3 სამუშაო დღე – 30 ლარი;
24 საათის გასვლისთანავე – 40 ლარი;
იმავე დღეს – 50 ლარი;

3. ნავსადგურში უამინდობის გამო თავშესაფრად შემოსული 1000 საერთო ტევადობის (GT) და ნაკლები გემები, განურჩევლად კუთვნილებისა და დროშისა, ასევე ნავსადგურების დამხმარე ფლოტის 2000 საერთო ტევადობა (GT) და ნაკლები მცურავი საშუალებები, – გათავისუფლდებიან ამ წესით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

4. სააგენტოს მიერ დაწესებული საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგ დაწესებულებებზე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახური.

4[1]. სააგენტოს მიერ დაწესებული გემის მომდევნო წლის რეგისტრაციის განახლების საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული იმ გემის მიმართ, რომლის გემთმფლობელიც გემის სარეგისტრაციო წლის განმავლობაში დაასაქმებს საქართველოს მოქალაქეობის მქონე მეზღვაურებს, არანაკლებ ეკიპაჟის შემადგენლობის მინიმუმ 10%-სა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[82]“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის მომსახურებად ჩაითვლება საქართველოს ნავსადგურში შემოსვლის, ნავსადგურის შიგნით გადაადგილების და ნავსადგურიდან გასვლა, როგორც ერთიანი მომსახურება.

6. სახელმწიფო-საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების დამატებითი შემთხვევები.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჰ20“, „ჰ21“, „ჰ22“, „ჰ23“, „ჰ29“, „ჰ48“, „ჰ52“ და „ჰ53“, ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფასურის განაკვეთი შემცირდება 50%-ით, თუ დასარეგისტრირებელი გემის ასაკი არის 0-დან 15 წლამდე, თუ დასარეგისტრირებელი გემის ასაკი არის 16-დან 25 წელი, მაშინ საფასური დარჩება უცვლელი. ხოლო ყველა ის გემი, რომლის ასაკიც აღემატება 25 წელს, განაკვეთი გაიზრდება 75%-ით.“

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჰ60“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის თითოეულ ჯგუფში არსებული საერთო ტევადობის (GT) საფასური (გარდა მე-6 ჯგუფისა) გამოითვლება ფორმულით, სადაც: F – ნიშნავს საფასურს, roundupVesselGT – არის გემის GT მნიშვნელობა – მეტობით დამრგვალებულ ასობით სიზუსტემდე. საქართველოს ნავსადგურებში შემოსული სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი სამგზავრო გემები გადაიხდიან აღნიშნული საფასურის 20%-ს.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჰ[1], ჰ[5], ჰ[12] და ჰ85 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მე-10 დღეს გაწევისას იმ შიდა ნაოსნობის თევზსაჭერ და თევზსარეწ გემებზე, რომელთა ნაოსნობის რაიონიც არ აღემატება 12 საზღვაო მილს, იმოქმედებს მე-10 დღის საფასური შემდეგი სახით:
ჭ) მე-10 სამუშაო დღე – 70 ლარი

ხ) მე-10 სამუშაო დღე – 80 ლარი

ჯ)მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ) მე-10 სამუშაო დღე – 80 ლარი

ჰ$^{1}$) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ$^{5}$) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ$^{12}$) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ$^{85}$) მე-10 სამუშაო დღე – 70 ლარი.

10. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჰ70“ ქვეპუნქტითა და მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება იმ თევზსაჭერ/თევზსარეწ გემებზე, რომლებიც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის შესაბამის წიგნში რეგისტრირებულია როგორც ბერბოუტ-ჩარტერით ან ტაიმ-ჩარტერით დაფრახტული გემი.

11. თუ საკრუინგო კომპანია ნებაყოფლობით გაივლის საქართველოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოების აუდიტს, რომელიც ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოსთვის ძალაში მყოფი საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილზე უფრო მაღალი სტანდარტით, სააგენტო აღიარებს საკლასიფიკაციო საზოგადოების აუდიტის მიერ გაცემულ სერტიფიკატს და ავტომატურად აღიარებს საკრუინგო კომპანიას. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის 1-ლი პუნტქის „ჰ$^{78}$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური არ გადაიხდევინება.

12. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებულ პირს, რომელსაც გადახდილი აქვს მომსახურების საფასური, თუმცა სურს იგივე მომსახურება მიიღოს დაჩქარებული სახით, უფლება აქვს უკვე გადახდილ საფასურს დაამატოს სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დაჩქარებულ მომსახურებაზე დადგენილ განაკვეთს შორის, საბანკო მომსახურების საკომისიოს გათვალისწინებით.

13. საქართველოს მოქალაქეობის მქონე მეზღვაურები გადაიხდიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „თ“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „უ“ და „ყ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფასურის 50%-ს, დამრგვალებულს ნაკლებობით ერთეულებამდე.

14. საქართველოს საზღვაო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და საზღვაო პრაქტიკის გავლის მიზნით გადის სერტიფიცირებას, გათავისუფლებულია ყველა სახის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან წინამდებარე წესიდან გამომდინარე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება დაჩქარებულ მომსახურებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საზღვაო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი წარმოადგენს სათანადო დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირები გადაიხდიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის 50%-ს.

15. დაუშვებელია ამ მუხლით გაუთვალისწინებელი საფასურის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება.

16. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადები განისაზღვრება ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით.

17. მომსახურების ვადების ათვლა იწყება მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად, გარდა იმ მომსახურებისა, რომლის გაწევაც უნდა მოხდეს განცხადების რეგისტრაციის დღეს ან განცხადების რეგისტრაციის დღიდან 24 საათის გასვლისთანავე. ასეთ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება განცხადების რეგისტრაციის დღეს. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

18. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო მომსახურებას ახორციელებს დაჩქარებული წესით.

19. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №1-1/2215 - ვებგვერდი, 28.10.2011 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №1-1/2246 - ვებგვერდი, 02.11.2011 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1-1/2767 - ვებგვერდი, 29.12.2011 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №1–1/290 - ვებგვერდი, 31.01.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის ბრძანება №1-1/935 - ვებგვერდი, 05.04.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის ბრძანება №1-1/1522 - ვებგვერდი, 23.07.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №1-1-/1609 - ვებგვერდი, 02.08.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №1-1/1676 -*

*ვებგვერდი, 22.08.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №1-1/1836 - ვებგვერდი, 21.09.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №1-1/1893 - ვებგვერდი, 16.11.2012 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 იანვრის ბრძანება №1-1/4 - ვებგვერდი, 15.01.2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 28 თებერვლის ბრძანება №1-1/50 - ვებგვერდი, 04.03.2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №1-1/175 - ვებგვერდი, 08.07.2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №1-1/236 - ვებგვერდი, 30.08,2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №1-1/322 - ვებგვერდი, 19.11.2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №1-1/308 - ვებგვერდი, 17.10.2014 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №1-1/358 - ვებგვერდი, 26.11.2014 წ.*

*საქართველოს ეკონოიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 6 მარტის ბრძანება №1-1/80 - ვებგვერდი, 12.03.2015 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 6 აპრილის ბრძანება №1-1/190- ვებგვერდი, 08.04.2016 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №1-1/249- ვებგვერდი, 28.04.2016 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება №1-1/63 - ვებგვერდი, 11.02.2019 წ.*

**მუხლი 4. საფასურის გადახდის წესი**

1. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული საფასური, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით.

2. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევის დაწყებამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, გარდა საჯარო დაწესებულებისა და გემთმფლობელისა სააგენტოს მიერ არასამუშაო დღეს და დროს მომსახურების გაწევის შემთხვევაში. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია მომსახურების საფასური გადაიხადოს შესაბამისი მომსახურების გაწევის შემდეგ, ხოლო არასამუშაო დღესა და დროს მომსახურების გაწევის შემთხვევაში, გემთმფლობელი უფლებამოსილია საფასური გადაიხადოს მომდევნო სამუშაო დღეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

$2^1$. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მომსახურების მიღების შემდეგ ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მომსახურების საფასური, თუ გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის უზრუნველსაყოფად პირი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში გაცემულ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას 18 000 ლარის ოდენობით.

3. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

5. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1-1/2767 - ვებგვერდი, 29.12.2011 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 იანვრის ბრძანება №1-1/4 - ვებგვერდი, 15.01.2013 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 6 აპრილის ბრძანება №1-1/190- ვებგვერდი, 08.04.2016 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება №1-1/63 - ვებგვერდი, 11.02.2019 წ.*

**მუხლი 5. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი**

1. თუ საფასური გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს ნაწილობრივ დაუბრუნდება საფასური , ანუ სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ განაკვეთს შორის და საბანკო მომსახურების საკომისიოს გათვალისწინებით.

2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება , თუ:

ა) საავენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;
ბ) დაინტერესებული პირი მომსახურების დაწყებამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე წერილობითი ფორმით.

3. გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში. განცხადება უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მას თან უნდა ერთოდეს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან ერთი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. საფასურთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.